შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

11. 06. 2014 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ქუჩა ვეძათხევი №18, საკადასტრო კოდით №01.16.06.039.015 მოქალაქე გიორგი ცერცვაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობა მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მიმართ

თბილისი

2014 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა ვეძათხევი №18-ში, მოქალაქე გიორგი ცერცვაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (512 კვ.მ) დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მის საკუთრებაში ორ სართულიანი საცხოვრებელი შენობის დემონტაჟის შესაძლებლობაზე და სამუშაოების პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობა მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი შეობების მიმართ.

სადემონტაჟო შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საძირკველი ლენტური ტიპისაა, აგურის წყობით ნაშენი,

2. მზიდ კონსტრუქციულ სქემას წარმოდგენს აგურის სქელკვეთიანი კედლების წყობა

3. სართულშუა გადახუვა შესრულებულია ხის კოჭებით,

4. გადახურვა ორ ქანობიანია და მოწყობილი ხის ნივნივებით

სადემონტაჟო შენობას მომიჯნავე ნაკვეთიდან ესაზღვრება მხოლოდ ერთი მხრიდან ორი საცხოვრებელი დანიშნულების შენობა, ხოლო სხვა შენობები საკმარისი მანძილით არიან დაშორებული სადემონტაჟო შენობიდან. სადემონტაჟო შენობას დემონტაჟის პერიოდში სამეზობლო მიჯნაზე არსებულ შენობის მიმართ ზეგავლენა არ ექნება, რადგან საერთო მზიდი კედელი არ გააჩნიათ და კატეგორიის მიხედვით სადემონტაჟო სამუშაოები არ წარმოადგენს ისეთ სამუშაოებს, რომელსაც არ სჭირდება სამშენებლო მანქანები და სპეციალური სპეც ტექნიკა. შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ აღნიშნული სადემონტაჟო შენობები განთავსებულია დამოუკიდებლად და არ ხდება სხვა შენობა-ნაგებობებზე შეხება, ანუ დაცილებულია საკმარისი მანძილით, გარდა ერთი მხრიდან საზღვრის მიჯნაზე არსებული საცხოვრებელი შენობებისა, თუმცა მათ კონსტრუქციული კავშირი არ გააჩნიათ. კონსტრუქციული თვალსაზრისით გამორიცხულია მომიჯნავე შენობების მიმართ ზეგავლენის გადაცემა, რადგან კატეგორიის მიხედვით საპროექტო სადემონტაჟო შენობის საანგარიშო სქემა არ განეკუთვნება მაღალი ინტენსივობის და დატვირთვების მქონე კონსტრუქციულ შენობას და დემონტაჟის პერიოდში გამორიცხულია ვიბრაციებისა და ბიძგების გადაცემა მომიჯნავე შენობების მიმართ.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი მოქალაქე გიორგი ცერცვაძის კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ორ სართულიანი შენობის, რომელსაც გააჩნია

სარდაფის სართული სადემონტაჟო სამუშაოები დასაშვებია და არ გამოიწვევს მომიჯნავე სამეზობლო საზღვრებში არსებული შენობების მიმართ ზეგავლენას. ზემოთ ხსენებული სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია ხელით და დამხმარე ხელის ინსტრუმენტებით. სამუშაოები თანმიმდევრობის მიხედვით უნდა განხორციელდეს სახურავიდან, რის შემდგომ მოხდება კედლების და ტიხრების დემონტაჟი და საბოლოოდ უნდა მოხდეს საძირკვლის დემონტაჟი და სამშენებლო ნაგვის გატანა.

დირექტორი:

კონსტრუქტორ-ექსპერტი: **ა. ყურაშვილი**

